BAG
ინდექსი

საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE
Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich

MPC Research

IV კვარტალი 2022

BAG ინდექსი

ბიზნეს
კლიმატი

დასაქმების
ბარომეტრი

შრომითი
რესურსების
საჭიროება

IV კვარტალი
2022

სარჩევი

BAG ინდექსი 1

BAG ბიზნეს კლიმატი 1

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 3

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით 5

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები 8

დაფინანსება 13

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ 15

BAG დასაქმების ბარომეტრი 16

შრომითი რესურსების საჭიროება 18

BAG ინდექსი

მომზადებულია პიემსი კვლევითი ცენტრის და ifo Institute-ის მიერ

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების[1] მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს[2]. კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების და დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტლებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტლისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, და აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. მიმდინარე კვარტალში კომპანიებმა ასევე შეაფასეს შრომითი რესურსების საჭიროება. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2022 წლის მეოთხე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლის 14-27 ნოემბრის პერიოდში.

2022 წლის IV კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2022 წლის IV კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 44.4 ქულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 37.6, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 51.4 ქულაა.

2022 წლის IV კვარტალში, 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 1.2 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება გაუარესდა 1.4 ქულით, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის მაჩვენებელი გაუმჯობესდა 3.9 ქულით.

2022 წლის IV კვარტლის შედეგები, გაუმჯობესებულია 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, როდესაც BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 33.8-ს, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 18.8-ს, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის ქულა 49.8-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის I კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი დადებითია და უმჯობესდება. 2021 წლის I და II კვარტლებში აღნიშნულს ძირითადად განაპირობებდა მომდევნო 6 თვის ოპტიმისტური მოლოდინი. თუმცა 2021 წლის III კვარტლიდან BAG ბიზნეს კლიმატის დადებით მაჩვენებელს ოპტიმისტურ მოლოდინთან ერთად, ასევე, განაპირობებს გამოკითხული კომპანიების უმრავლესობის მიერ მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასება (იხილეთ გრაფიკი 1).

---

[1] 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.

[2] საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა

2022 წლის IV კვარტალში, 2022 წლის III კვარტლის მსგავსად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი **ბუმის** ფაზაში იმყოფება.



გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი

გრაფიკი 2 საკოორდინატო სიბრტყეზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თავის მხრივ, საკოორდინატო სიბრტყის მეოთხედები შესაბამისი სახელებით აღინიშნება, კერძოდ, აღმასვლა, ბუმი, დაღმასვლა და რეცესია:

- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „**აღმასვლის**" მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ დადებითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „**ბუმის**" მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ დადებითად, ხოლო მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „**დაღმასვლის**" მეოთხედში.
- თუკი გამოკითხული კომპანიები ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს აფასებენ უარყოფითად, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი მოხვდება „**რეცესიის**" მეოთხედში.

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით

2022 წლის IV კვარტალში **ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი** ყველა სექტორში დადებითია. 2022 წლის IV კვარტალში, 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში, ხოლო მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორებში გაუარესდა (იხილეთ გრაფიკი 3).

2022 წლის IV კვარტალში, 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, **ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის** შეფასება გაუმჯობესდა მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში, ხოლო მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორებში გაუარესდა. სექტორებს შორის, მიმდინარე მდგომარეობა ყველაზე დადებითად შეფასდა მშენებლობის სექტორის მიერ. აღნიშნულს შესაძლოა, განაპირობებდეს სექტორში გაზრდილი გაყიდვები და გაყიდვების ფასები (მშენებლობის სექტორში კომპანიათა 36%-მა დააფიქსირა 2022 წლის IV კვარტალში გაყიდვების ზრდა, ხოლო 54.5%-მა ფასების ზრდა).

რაც შეეხება **ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს,** 2022 წლის IV კვარტალში, მაჩვენებელი დადებითია ყველა სექტორისთვის. სექტორებს შორის ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინი მშენებლობის სექტორში ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული (45.4 ქულით) მშენებლობის სექტორში, ხოლო მრეწველობის სექტორში მაჩვენებლის გაუარესება შეინიშნება (15.9 ქულით). რაც შეეხება ვაჭრობისა და მომსახურების სექტორებს, ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი მცირედით გაუმჯობესებულია.

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2022 წლის IV კვარტალში

სექტორი	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	46.7	41.9	51.6
მომსახურების სექტორი	48.8	45.2	52.4
მრეწველობის სექტორი	14.8	0.0	30.8
მშენებლობის სექტორი	58.7	45.5	72.7
ყველა სექტორი	44.4	37.6	51.4



გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2022 წლის III და 2022 წლის IV კვარტლებში

2021 წლის I კვარტლიდან ვაჭრობის, მრეწველობის და მომსახურების სექტორებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი დადებითია. სექტორებში არსებულ ბიზნეს კლიმატის დადებით შეფასებას განაპირობებს როგორც ოპტიმისტური მოლოდინის არსებობა, ასევე, მიმდინარე მდგომარეობის პოზიტიური შეფასება.

ვაჭრობის, მომსახურების და მრეწველობის სექტორებში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი 2021 წლის I კვარტლიდან, წინა წლის შესაბამის პერიოდებთან შედარებით, ძირითადად უმჯობესდებოდა. გაუმჯობესების ტენდენცია ვაჭრობის და მომსახურების სექტორებში 2022 წლის IV კვარტალშიც შენარჩუნდა. ხოლო მრეწველობის სექტორში 2022 წლის IV კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუარესდა.

მშენებლობის სექტორში 2021 წლის I და II კვარტალში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი უარყოფითი იყო, თუმცა 2021 წლის III კვარტლიდან, მაჩვენებელი დადებითია და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, უმჯობესდება. 2022 წლის II კვარტლამდე, მშენებლობის სექტორში ბიზნეს კლიმატის მაჩვენებლის გაუმჯობესებას ძირითადად განაპირობებდა ბიზნესის ოპტიმისტური მოლოდინი, ხოლო 2022 წლის II კვარტლიდან ოპტიმისტურ მოლოდინთან ერთად, მიმდინარე მდგომარეობის დადებითი შეფასებაც. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის IV კვარტალში მშენებლობის სექტორში მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული როგორც ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა, ასევე ბიზნესის მოლოდინი (იხილეთ გრაფიკი 4).



გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით

დასაქმება

- 2022 წლის IV კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 35%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება 2023 წლის I კვარტლის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 32% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას (იხილეთ გრაფიკი 5).
- სექტორებს შორის, 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობასა და 2023 წლის I კვარტლის მოლოდინს დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ყველაზე პოზიტიურად მშენებლობის სექტორში აფასებენ (იხილეთ გრაფიკი 6).
- 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობას დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ყველაზე ნეგატიურად მრეწველობის სექტორში აფასებენ (15.4%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა მცირდება).



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში[3]



გრაფიკი 6: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება

- გაყიდვების მხრივ, სექტორებს შორის, 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობას ყველაზე პოზიტიურად ვაჭრობის სექტორში აფასებენ. ხოლო 2023 წლის I კვარტალში გაყიდვების მიმართულებით ყველაზე პოზიტიური მოლოდინი მშენებლობის სექტორში ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 7).
- 2022 წლის IV კვარტლის მდგომარეობას გაყიდვების მიმართულებით ყველაზე ნეგატიურად მომსახურების სექტორში აფასებენ (10%-მა განაცხადა რომ მათი გაყიდვები მცირდება). ხოლო ყველაზე ნეგატიური მოლოდინი გაყიდვების მიმართულებით ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 23% მოელის, რომ მათი გაყიდვები 2023 წლის I კვარტალში შემცირდება.

[3] დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

* წინასწარი შეფასება.



გრაფიკი 7: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გაყიდვების ფასები

- 2022 წლის IV კვარტალში გამოკითხული კომპანიების 22%-მა გაზარდა გაყიდვების ფასები. რაც შეეხება 2023 წლის I კვარტლის მოლოდინს, გამოკითხულ კომპანიათა 34% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას (იხილეთ გრაფიკი 8).
- სექტორებს შორის, 2022 წლის IV კვარტალში ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია მშენებლობის სექტორში აფიქსირებს, რაც შესაძლოა, უკავშირდებოდეს რუსეთ-უკრაინის ომის გამო სამშენებლო მასალებზე ფასის გაძვირებას და/ან უძრავ ქონებაზე მოთხოვნის გაზრდას. ასევე, 2023 წლის I კვარტალში ფასების ზრდის მოლოდინი ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 9).
- ფასების ზრდის დინამიკა ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში შეინიშნება, ვინაიდან არცერთ გამოკითხულ კომპანიას არ დაუფიქსირებია ფასების ზრდა თავიანთ პროდუქციაზე 2022 წლის IV კვარტალში.



გრაფიკი 8: გაყიდვების ფასები BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში



გრაფიკი 9: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები

2022 წლის IV კვარტალში, 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, მცირედ გაიზარდა იმ კომპანიების წილი (2 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შემშლელი ფაქტორები. ასევე, აღნიშნული მაჩვენებელი 2 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი 2021 წლის IV კვარტალთან შედარებითაც.



გრაფიკი 10: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2022 წლის IV კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ექვსი ფაქტორია: სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, სპეციალისტების ნაკლებობა, სამუშაო ძალის ნაკლებობა, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა[4], შეზღუდული ფინანსური რესურსები და მოთხოვნის სიმცირე (იხილეთ გრაფიკი 11).

[4] ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის II კვარტალში დაემატა.



გრაფიკი 11: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2022 წლის IV კვარტალში

მოცემულ კვარტალში, პრობლემათა შორის პირველი ადგილი **სამართლებრივმა და ადმინისტრაციულმა ბარიერებმა** დაიკავა (აღნიშნულ პრობლემას კომპანიათა 60% ასახელებს ხელის შემშლელად). სექტორებს შორის, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ყველაზე მეტად მომსახურების სექტორის კომპანიებისთვის (76%) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, ყველაზე ნაკლებად კი ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებისთვის (38%) (იხილეთ გრაფიკი 12).

საწარმოს ზომის მიხედვით[5], სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები ყველაზე მეტად მსხვილი ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (73%-მა დაასახელა ხელის შემშლელად) (იხილეთ გრაფიკი 13).

2022 წლის IV კვარტალში, **სპეციალისტების ნაკლებობა** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 53%-მა დაასახელა. სექტორებს შორის, სპეციალისტების ნაკლებობის პრობლემა ყველაზე მწვავე მშენებლობის სექტორისთვისაა (88%), ხოლო ყველაზე ნაკლებად – ვაჭრობისა და მრეწველობის სექტორებისთვის (38%). საწარმოთა ზომის მიხედვით, აღნიშნული ფაქტორი ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (56%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2022 წლის IV კვარტალში, **სამუშაო ძალის ნაკლებობა** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 46%-მა დაასახელა. სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა ყველაზე მწვავე მშენებლობის სექტორისთვისაა (63%). საწარმოთა ზომის მიხედვით, სამუშაო ძალის ნაკლებობა ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (56%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

2022 წლის IV კვარტალში, **ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობამ** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოკითხულ კომპანიათა 30%-მა დაასახელა. სექტორებს შორის, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორის კომპანიებისთვის (63%) წარმოადგენს ხელის შემშლელ ფაქტორს, ყველაზე ნაკლებად კი მრეწველობის სექტორისთვის (13%). საწარმოს ზომის მიხედვით, ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (44%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

რაც შეეხება **შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს**, 2022 წლის IV კვარტალში, აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად გამოკითხულ კომპანიათა 9%-მა დაასახელა. შეზღუდული ფინანსური რესურსები, როგორც ხელის შემშლელი ფაქტორი, ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორის (25%) მიერ ფიქსირდება. საწარმოთა ზომის მიხედვით, შეზღუდული ფინანსური რესურსების პრობლემა ყველაზე მეტად საშუალო ზომის კომპანიებს აქვთ (11%).

2022 წლის IV კვარტალში, **მოთხოვნის სიმცირე** ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელად გამოკითხულ კომპანიათა 9%-მა დაასახელა. მოთხოვნის სიმცირის პრობლემა ყველაზე მწვავე მრეწველობის სექტორისთვისაა (13%). საწარმოთა ზომის მიხედვით, მოთხოვნის სიმცირე ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებისთვის წარმოადგენს პრობლემას (17%-მა დაასახელა ხელის შემშლელად).

[5] საწარმოს ზომა განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით: მცირე, საშუალო და მსხვილი.



გრაფიკი 12: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2022 წლის IV კვარტალში



გრაფიკი 13: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის საწარმოთა ზომის მიხედვით 2022 წლის IV კვარტალში

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობის პრობლემა შემსუბუქდა (30 პროცენტული პუნქტით). ხოლო ყველაზე მეტად სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერებისა (13 პროცენტული პუნქტით) და სპეციალისტების ნაკლებობის (11 პროცენტული პუნქტით) პრობლემები გამძაფრდა (იხილეთ გრაფიკი 14).



გრაფიკი 14: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის

[6] ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთ-ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, არსებულ კითხვარს 2021 წლის II კვარტალში დაემატა.

ბიზნესისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

2022 წლის IV კვარტალში, იმ კომპანიათა უმეტესობამ, რომლებმაც სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები დაასახელეს ხელის შემშლელ ფაქტორად, წინა პერიოდების მსგავსად, ***მარეგულირებელი გარემო*** მიიჩნიეს ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერად, რაც ხელს უშლის მათ ბიზნესსაქმიანობას. სექტორებს შორის, მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე მეტად დასახელდა მშენებლობის სექტორში (დაასახელა გამოკითხულთა 83%-მა, რომლისთვისაც არსებობს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები). ხოლო მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორის მიერ სახელდება (33%).

სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის, მეორე ადგილს ***სასამართლო სისტემა*** იკავებს. აღნიშნული ფაქტორი ხელის შემშლელად ყველაზე მეტად მომსახურების სექტორში დაფიქსირდა (53%), ხოლო ყველაზე ნაკლებად მრეწველობის და ვაჭრობის სექტორებში (33%).

რაც შეეხება ***ადმინისტრაციულ საკითხებს***, აღნიშნული ფაქტორი სექტორებს შორის, ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა (67%), ხოლო ყველაზე ნაკლებად მრეწველობის და ვაჭრობის სექტორებში (33%).

COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვები კომპანიათა მხოლოდ 3%-მა დაასახელა ხელის შემშლელად. აღნიშნული ფაქტორი ბარიერად მხოლოდ მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა.



გრაფიკი 15: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის

მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომელიც ადმინისტრაციულ საკითხებს და მარეგულირებელ გარემოს ასახელებდა ხელის შემშლელად (შესაბამისად 11 და 7 პროცენტული პუნქტებით), ხოლო 6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიათა წილი, რომლებიც სასამართლო სისტემას მიიჩნევს ხელის შემშლელად.



გრაფიკი 16: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის

დაფინანსება

2022 წლის IV კვარტალში, დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 45%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია (5 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 17).

2022 წლის IV კვარტალში, მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, მხოლოდ 21% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით შემცირებულია (9 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 18).



გრაფიკი 17: დაფინანსების მოძიება



გრაფიკი 18: ფინანსებზე წვდომა[7]

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს[8], 2022 წლის IV კვარტალში, წინა პერიოდების მსგავსად, კომპანიათა უმეტესობის განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან. ამასთან იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც მხოლოდ უცხოური წყაროებიდან ფინანსდებიან, 2022 წლის IV კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.



გრაფიკი 19: დაფინანსების წყაროები

[7] კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.

[8] 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდამ) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებელზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2022 წლის IV კვარტალში, 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, განახევრდა იმ კომპანიების წილი (შემცირდა 29 პროცენტული პუნქტით), რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ. ამასთან, წინა კვარტალთან შედარებით, 2022 წლის IV კვარტალში, 27 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას არ ელიან მომდევნო 6 თვეში.



გრაფიკი 20: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ[9].

2022 წლის IV კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით უმეტესად დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 29.1 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია როგორც 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით (8.6 ქულით), ასევე, წინა – 2022 წლის III კვარტალთან შედარებით (1 ქულით).



გრაფიკი 21: BAG დასაქმების ბარომეტრი

2022 წლის IV კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2022 წლის IV კვარტალში, 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობის (13.6 ქულით გაიზარდა), მრეწველობისა (3.1 ქულით გაიზარდა) და მომსახურების (0.6 ქულით გაიზარდა) სექტორებში, ხოლო ვაჭრობის სექტორში გაუარესდა 4.2 ქულით (იხილეთ გრაფიკი 22).

2022 წლის IV კვარტალში, 2022 წლის III კვარტალთან შედარებით, მშენებლობის სექტორში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შესაძლოა, უკავშირდებოდეს ამ სექტორში არსებულ ოპტიმისტურ მოლოდინს გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებით.

[9] კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „მზარდი", „სტაბილური" ან „კლებადი". ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „მზარდი"-სა და „კლებადი"-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100–დან +100–მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

სექტორი	IV კვ. 2019	I კვ. 2020	II კვ. 2020	III კვ. 2020	IV კვ. 2020	I კვ. 2021	II კვ. 2021	III კვ. 2021	IV კვ. 2021	I კვ. 2022	II კვ. 2022	III კვ. 2022	IV კვ. 2022
ვაჭრობა	33.3	-45.0	5.6	12.5	-23.5	2.8	18.2	21.6	25.0	32.4	34.3	26.8	**22.6**
მომსახურება	14.6	-41.7	0.0	-5.0	-8.0	17.6	34.8	-2.3	11.1	15.6	19.6	25.6	**26.2**
მრეწველობა	11.1	-25.0	0.0	16.7	20.0	17.6	33.3	21.4	21.4	29.4	40.0	20.0	**23.1**
მშენებლობა	50.0	-80.0	-28.6	14.3	-33.3	30.8	12.5	27.3	50.0	37.5	27.3	50.0	**63.6**
BAG	26.1	-46.7	-2.8	6.2	-13.7	14.7	27.4	11.7	20.5	24.9	27.7	28.1	**29.1**



გრაფიკი 22: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

შრომითი რესურსების საჭიროება

2022 წლის IV კვარტლის გამოკითხვაში, კომანიებისთვის შრომითი რესურსების საჭიროების და კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების შესაფასებლად BAG ინდექსის კითხვარში დამატებითი კითხვები ინტეგრირდა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები ოთხ სექტორში განაწილდა: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა.

კადრების მოძიება

2022 წლის IV კვარტალში გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობისათვის (66%) საჭირო კადრების მოძიება სირთულეებთანაა დაკავშირებული. კომპანიებისთვის კადრების მოძიების პრობლემა გამწვავებულია, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით (აღნიშნული მაჩვენებელი 14.6 პროცენტული პუნქტით აღემატება 2021 წლის IV კვარტლის მაჩვენებელს).

2022 წლის IV კვარტალში გამოკითხულთა 25.8%-ისთვის პროცესი ნაწილობრივ არის სირთულეებთან დაკავშირებული. საჭირო კადრების მოძიებისას სირთულეები მხოლოდ გამოკითხულთა 8.2%-ს არ ექმნება, რაც 2021 წლის IV კვარტალის მაჩვენებლის მსგავსია (იხილეთ დანართი, გრაფიკი 1).



გრაფიკი 23: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა[10]

აღსანიშნავია, რომ, სექტორების მიხედვით, საჭირო კადრების მოძიების პრობლემა განსაკუთრებით ვაჭრობის სექტორში შეინიშნება (ვაჭრობის სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 71%-ისთვის საჭირო კადრების მოძიება სირთულეებთანაა დაკავშირებული), რაც 2021 წლის IV კვარტლის მდგომარეობის მსგავსია. აღნიშნული პრობლემა, ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში დაფიქსირდა, სადაც გამოკითხულთა 23%-ისთვის საჭირო კადრების მოძიება სირთულეებთან არაა დაკავშირებული. რაც შეეხება დანარჩენ სექტორებს, მომსახურების სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 67%-ისთვის, ხოლო მშენებლობის სექტორში 64%-ისთვის კადრების მოძიება სირთულეებთან არის დაკავშირებული (იხილეთ გრაფიკი 24).

[10] დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.



გრაფიკი 24: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა სექტორების მიხედვით

სხვადასხვა კატეგორიის კადრებს შორის, გამოკითხული კომპანიები ყველაზე რთულად მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიებას მიიჩნევენ. გამოკითხულ კომპანიათა 55.9%-ის შეფასებით, მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოძიების სირთულის დონე მაღალია. აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 2021 წლის IV კვარტლის მონაცემთან შედარებით (8.3 პროცენტული პუნქტით).

საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოძიებას კომპანიათა უმრავლესობა (52.6%) საშუალოდ რთულად აფასებს, ხოლო 27.8% მიიჩნევს, რომ აღნიშნული კვალიფიკაციის კადრების მოძიება ძალიან რთულია. აღსანიშნავია, რომ წინა წლის ამავე კვარტლის მონაცემებთან შედარებით, საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოძიება კომპანიებისთვის გართულებულია (2021 წლის IV კვარტალში კომპანიების 19%-ისთვის საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოძიება ძალიან რთული იყო).

სხვადასხვა კატეგორიის კადრებს შორის, გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა ყველაზე მარტივად დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიების პროცესს აფასებენ. გამოკითხულ კომპანიათა 20.9% მიიჩნევს, რომ დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება საერთოდ არ წარმოადგენს სირთულეს, ხოლო 26.4%-ისთვის მოძიების სირთულის დონე დაბალია. თუმცა, მეორე მხრივ, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნადაა (16.8 პპ-ით) გაზრდილი იმ კომპანიების წილი, ვისთვისაც დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება მაღალი სირთულისაა.



გრაფიკი 25: სხვადასხვა კატეგორიის კადრების მოძიების სირთულის დონე

აღსანიშნავია, რომ მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება ყველაზე რთული მშენებლობისა და მრეწველობის სექტორებისთვისაა (ორივე სექტორში გამოკითხულ კომპანიათა მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოძიების სირთულეს მაღალ დონეს ანიჭებს: მშენებლობის სექტორში – 67%, მრეწველობის სექტორში – 58%).

საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოძიება ოთხივე სექტორში გამოკითხული კომპანიათა ძირითადი ნაწილის მიერ საშუალოდ რთულად ფასდება, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მსგავსია. ხოლო დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება ყველაზე მარტივი მრეწველობის სექტორისთვისაა, სადაც გამოკითხულთა 33%-ისთვის დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება პრობლემას არ წარმოადგენს.

დაბალი კვალიფიკაციების კადრების მოძიება ყველაზე რთული მშენებლობისა და მომსახურების სექტორებში აღმოჩნდა (მშენებლობის სექტორში გამოკითხულთა 50%, ხოლო მომსახურების სექტორში 38%, დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიების სირთულეს მაღალ დონეს ანიჭებს). აღსანიშნავია, რომ 2022 წლის IV კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, ოთხივე სექტორში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი იმ კომპანიების წილი, რომლებისთვისაც რთულია დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება (იხილეთ დანართი, გრაფიკი 2).

კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები

2022 წლის IV კვარტალში გამოკითხულმა კომპანიებმა, კითხვაზე, თუ რომელი ფაქტორების გამო არის რთული საჭირო კადრების მოძიება, ყველაზე ხშირად დაასახელეს შემდეგი სამი ფაქტორი: აპლიკანტების არასაკმარისი რაოდენობა (60.4%), აპლიკანტთა მხრიდან მაღალი ხელფასის მოლოდინი (52.1%) და აპლიკანტთა შეუსაბამო გამოცდილება (51%). აღსანიშნავია რომ 2021 წლის IV კვარტალში კადრების მოძიების სირთულის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის ყველაზე ხშირად აპლიკანტთა არასაკმარისი ცოდნა სახელდებოდა. რაც შეეხება კონკურენციას სხვა დამსაქმებლებთან, ეს ფაქტორი, 2021 წლის მსგავსად, 2022 წელსაც ყველაზე იშვიათად დასახელდა კადრების მოძიების სირთულის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის (იხილეთ დანართი, გრაფიკი 3).

საჭირო კადრების მოძიებასთან დაკავშირებული პრობლემების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები სექტორებს შორის მცირედით განსხვავებულია. მომსახურებისა და მრეწველობის სექტორებისთვის ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორია აპლიკანტთა არასაკმარისი რაოდენობა. მშენებლობის სექტორში, აპლიკანტთა არასაკმარის რაოდენობასთან ერთად (73%), ყველაზე ხშირად დასახელდა აპლიკანტთა შეუსაბამო გამოცდილება (73%). ხოლო ვაჭრობის სექტორისთვის ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორი, აპლიკანტების მხრიდან, მაღალი ხელფასის მოლოდინი აღმოჩნდა (61%).



გრაფიკი 26: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები

2022 წლის IV კვარტალში გამოკითხულ კომპანიათა (მათ ვინც აპლიკანტების არასაკმარისი რაოდენობა დაასახელეს პრობლემად) 83.9% მიიჩნევს, რომ აპლიკანტთა არასაკმარის რაოდენობას კადრების საზღვარგარეთ გადინება განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით (გაზრდილია 14.2 პროცენტული პუნქტით). მეორე მხრივ, შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ კადრების არასაკმარისი რაოდენობის განმაპირობებლად: არასაკმარისი რაოდენობის კადრების მომზადება, მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინება და შეზღუდული კადრების მობილობა (იხილეთ დანართი, გრაფიკი 4).

აღსანიშნავია, რომ მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიათა აბსოლუტური უმრავლესობა (100%) მიიჩნევს რომ სექტორში აპლიკანტთა არასაკმარისი რაოდენობას კადრების საზღვარგარეთ გადინება განაპირობებს. მომსახურების (77%), ვაჭრობისა (76%) და მშენებლობის (64%) სექტორებში აპლიკანტების არასაკმარისი რაოდენობის განმაპირობებელ ფაქტორად ყველაზე ხშირად, ასევე, კადრების საზღვარგარეთ გადინება სახელდება.



გრაფიკი 27: აპლიკანტთა არასაკმარისი რაოდენობის განმაპირობებელი ფაქტორები

კითხვარის მეშვეობით, კომპანიებმა ასევე, შეაფასეს მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინების სიმწვავე. რესპონდენტების აზრით, მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების შემთხვევაში (გამოკითხულ კომპანიათა 34.1%-ისთვის მომიჯნავე სექტორებში დაბალი კვალიფიკაციის კადრების გადინების პრობლემა ძალიან მწვავეა, ხოლო 32.9%-ისთვის საშუალო სიმწვავისაა). ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წლის IV კვარტალში, 2021 წლის IV კვარტალთან შედარებით, გაზრდილია იმ კომპანიების წილი, ვინც მიიჩნევს რომ დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების შემთხვევაში განსაკუთრებით მაღალია მომიჯნავე სექტორში გადინების შემთხვევები.

მაღალი კვალიფიკაციის კადრების გადინების პრობლემის სიმწვავის დონე კომპანიების 64.1%-ისთვის საშუალო და მაღალია (24.4%-ისთვის პრობლემის სიმწვავე მაღალია, ხოლო 39.7%-ისთვის საშუალო). აღნიშნული მაჩვენებელი იდენტურია საშუალო კვალიფიკაციის კადრებისთვისაც (16.7%-ისთვის პრობლემის სიმწვავე მაღალია, 47.4%-ისთვის კი საშუალო).

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის IV კვარტალში მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინების პრობლემა ყველაზე ნაკლებად მაღალი კვალიფიკაციის კადრების შემთხვევაში იკვეთებოდა, როდესაც კომპანიათა 24.4%-ის განცხადებით, საერთოდ არ ხდებოდა მაღალი კვალიფიკაციის კადრების გადინება.



გრაფიკი 28: მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინების პრობლემის სიმწვავე

სექტორებს შორის, მომიჯნავე სექტორებში დაბალი კვალიფიკაციის კადრების გადინების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მშენებლობის სექტორში, ხოლო მაღალი კვალიფიკაციის კადრების გადინების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ვაჭრობის სექტორისთვის. რაც შეეხება საშუალო კვალიფიკაციის კადრების გადინების პრობლემას, ყველაზე მწვავე მომსახურების სექტორისთვის აღმოჩნდა.

უცხოელი კადრების (ექსპატების) დასაქმება

2022 წლის IV კვარტლის კითხვარში ასევე ინტეგრირდა კითხვები რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში დროებით მცხოვრები უცხოელი კადრების (ექსპატების) დასაქმების შესახებ.

გამოკითხული კომპანიების 75.5% აღნიშნავს, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ არ დაუსაქმებიათ საქართველოში დროებით მცხოვრები უცხოელები თავიანთ კომპანიაში. ხოლო 24.5% აღნიშნავს, რომ დაასაქმეს უცხოელი კადრები.



გრაფიკი 29: უცხოელი კადრების დასაქმება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ

სექტორებს შორის, მრეწველობის სექტორში გამოკითხული კომპანიების ყველაზე დიდმა ნაწილმა (45%) დაასაქმა უცხოელი კადრები თავიანთ კომპანიაში, მომსახურების სექტორში კი ყველაზე მცირე ნაწილმა (12%).



გრაფიკი 30: უცხოელი კადრების დასაქმება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ სექტორების მიხედვით

იმ კომპანიებს შორის, ვინც დაასაქმა უცხოელი კადრები, 65.2% აღნიშნავს, რომ მათ მიერ დასაქმებული კადრები უმეტესად მაღალი კვალიფიკაციის არიან, ხოლო 34.8% აღნიშნავს რომ მათი აყვანილი კადრების კვალიფიკაციის დონე უმეტესად საშუალოა. ასევე აღსანიშნავია, რომ არცერთ გამოკითხულ კომპანიას არ დაუსაქმებია დაბალი კვალიფიკაციის მქონე უცხოელი კადრები.

სექტორებს შორის, მრეწველობის სექტორში, იმ კომპანიებს შორის, ვინც დაასაქმა უცხოელი კადრები, 80% აღნიშნავს, რომ მათ მიერ დასაქმებული კადრები უმეტესად მაღალი კვალიფიკაციის არიან. საშუალო კვალიფიკაციის კადრები კი ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში გამოკითხულმა კომპანიებმა აიყვანეს (75%).



გრაფიკი 31: რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ დასაქმებული უცხოელი კადრების კვალიფიკაციის დონე

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობამ (68.1%) არ იცის მომავალში დაასაქმებს თუ არა რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად საქართველოში დროებით მცხოვრებ უცხოელ კადრებს, 21.3% არ გეგმავს, ხოლო 10.6% მომავალში აპირებს უცხოელი კადრების აყვანას.



გრაფიკი 32: საქართველოში დროებით მცხოვრები უცხოელი კადრების დასაქმების გეგმები

სექტორებს შორის, მომავალში უცხოელი კადრების აყვანას ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორში გეგმავენ (36%). უცხოელი კადრების აყვანის თვალსაზრისით, ყველაზე უარყოფითი მოლოდინი კი მომსახურების სფეროში დაფიქსირდა, სადაც გამოკითხული კომპანიების 20%-მა განაცხადა, რომ არ აპირებს უცხოელი კადრების აყვანას.

დანართი



გრაფიკი 1: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა 2021 წლის IV კვარტალში



გრაფიკი 2: სექტორების მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიის კადრების მოძიების სირთულის დონე 2022 წლის IV კვარტლის გამოკითხვის მიხედვით



გრაფიკი 3: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები 2021 წლის IV და 2022 წლის IV კვარტლებში



გრაფიკი 4: აპლიკანტთა არასაკმარისი რაოდენობის განმაპირობებელი ფაქტორები 2021 წლის IV და 2022 წლის IV კვარტლებში

კონტაქტი:

გ. ლეონიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო

+995 32 2 202-215

info@bag.ge

Business Association of Georgia

www.bag.ge